საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 05 თებერვალი, 2025 წელი

გადაწყვეტილება № 05-01/02

სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2011 წლის 7 დეკემბრის №3/319 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 37-ე მუხლის მე-13 პუნქტის, ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 28 ივლისის №05-01/01 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტისა და „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის სპიკერის მამუკა ალაფიშვილისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ ბხსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 05 თებერვლის №05-01/01 გადაწყვეტილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭო გადაწყვიტა:

1. სსიპ-ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევნები დაინიშნოს **2025 წლის 14 თებერვალს, 14.00 საათზე.**

2. წარმომადგენლობით საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 10 პროცენტმა (2 წევრი), სპიკერის არჩევნებამდე არაუგვიანეს 3 დღისა, უზრუნველყოს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიისთვის სპიკერის კანდიდატურის წარდგენა.

3. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი არჩეული იქნეს წარმომადგენლობითი საბჭოს უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

4. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის არჩევნების ჩატარება უზრუნველყოს ბხსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიამ და იხელმძღვანელოს ბხსუ-ს წესდებით, ბხსუ-ში არჩევნების ჩატარების დებულებით და წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად.

5. გადაწყვეტილება განთავსდეს ბხსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე.

6. წინამდებარე გადაწყვეტილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში(ქ.ბათუმი, ს.ზუბალაშვილის ქ. №30).

7. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სხდომის თავმჯდომარე **გიორგი რამიშვილი**